

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 25 ოქტომბრის სხდომის
ოქმი N 13

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 25 ოქტომბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა
2. ფაკულტეტის დებულების შესახებ
3. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ
4. სადისერტაციო საბჭოების დებულებების შესახებ
5. დოქტორანტურის დაფინანსების შესახებ

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოსტზე ხელახალი ვადით (4 წლით) დასამტკიცებლად წარუდგინა ასოცირებული პროფესორის მაგდა ალანიას კანდიდატურა. აღსანიშნავია, რომ ქალბატონ მაგდას საბჭოს ყველა წევრი იცნობდა. იგი 2012 წლიდან დღემდე მუშაობდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად და ახლა მეორე ვადით აპირებს ამ პოსტის დაკავებას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა სხვა კანდიდატურის წამოყენებაც, თუმცა ასეთი არავინ აღმოჩნდა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად კენჭი უყარა ასოცირებული პროფესორის მაგდა ალანიას კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი მაგდა ალანია.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ფაკულტეტის დებულების შესახებ. დებულების ძირითადი ნაწილი შეთანხმებული იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან და დეპარტამენტების თავმჯდომარეებთან სამუშაო შეხვედრების დროს. დარჩენილი იყო რამოდენიმე პუნქტი, რომელზეც კენჭისყრა გამართვა გახდა საჭირო. ეს პუნქტები წითლად იყო გამოყოფილი დებულების იმ ვერსიაში, რომელიც საბჭოს წევრებს დაეგზავნათ სხდომის წინ.

სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა შესთავაზა საბჭოს წევრებს დარჩენილი საკითხები პუნქტების მიხედვით განეხილათ და ეყარათ კენჭი.

ა) თავი II, მუხლი 5.5 (ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა): „ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 40 წევრით, მათ შორის: დეკანი, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი - 10 წევრი. ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტებიდან აირჩევა 29 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: ოთხ-ოთხი იმ დეპარტამენტებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია 15-ზე მეტი აკადემიური პერსონალი და თითო-თითო იმ დეპარტამენტებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია 15-ზე ნაკლები აკადემიური პერსონალი. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილი ადგილებიდან ამ პრინციპით განაწილების შედეგად დარჩენილი ადგილები ნაწილდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე დიდ დეპარტამენტზე/დეპარტამენტებზე.“
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინური კათედრების წარმომადგენლებს შეეძლებათ კენჭი იყარონ სურვილისამებრ ერთ-ერთ დეპარტამენტში, რომელსაც ეკუთვნის.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ნ.შათაშვიმ აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ეს ფრაზა დებულებაში, ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების წესში შენიშვნის სახით ჩაიწერება მეექვსე მუხლთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დებულების აღნიშნულ მეხუთე და მეექვსე მუხლებს აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მხარი დაუჭირეს ერთხმად.

ბ) მუხლი 36, 1-ვ), 1-ზ), 2-ე), 2-ვ), 3-თ), 5-თ), ინტერდისციპლინური კათედრების:

- 1) რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების,
- 2) მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების,
- 3) ბიოფიზიკის

ორი დეპარტამენტისთვის მიკუთვნების საკითხი. კერძოდ, პირველი ორი კათედრა დებულების პროექტის მიხედვით უნდა შევიდეს მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტების, ხოლო მესამე კათედრა - ფიზიკისა და ბიოლოგიის დეპარტამენტების შემადგენლობაში (დებულების პროექტი ასახავს ამჟამინდელ მდგომარეობას).

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ა.გამყრელიძემ. მან აღნიშნა, 1)-2) ინტერდისციპლინური კათედრები უნდა იყოს ან კომპიუტერულ მეცნიერებათა, ან მათემატიკის დეპარტამენტში და აღნიშნა, რომ მას არ სურს კათედრების გახლეჩა. სხდომის დამსწრემ, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფ. მ.ხაჩიძემ დაამატა, რომ კურიკულუმის მოსალოდნელი ცვლილების გამო ეს კათედრები დეპარტამენტს აღარ სჭირდება. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხის ასე დასმა მიუღებლად მიაჩნია. შემდეგ მათ შესთავაზა, რომ ახლა არსებული მოდელი მიიღონ, შემდგომში კი ინტერდისციპლინური კათედრების მოწყობის საკითხი მათემატიკის დეპარტამენტთან და ამ კათედრის გამგებთან ერთად განეხილონ. პროფ. დ.ძიმიჯურმა აღნიშნა, რომ ბიოფიზიკის კათედრის შემთხვევაში ბიოლოგიის დეპარტამენტის სურვილია ამ კათედრას გამოეყოს 2 შტატი (ბიოლოგიებისთვის განკუთვნილი ვაკანსიები) და დაემატოს ბიოლოგიის დეპარტამენტს. შემდეგ აღნიშნა, რომ თუ ფიზიკის დეპარტამენტის წარმომადგენელთა სურვილიც იქნება, ამ საკითხზე იმსჯელებენ. პროფ. ა.გამყრელიძემ აზრი გამოთქვა, რომ შესაძლებელია ახლა შემოთავაზებული ფორმით მიიღონ ინტერდისციპლინური კათედრების საკითხი, ხოლო შემდგომ მოწყობაზე მერე ისაუბრონ.

პროფ. გ.სირბილაძემ მოითხოვა დებულებაში დროებითი ჩანაწერის გაკეთება და მითითება, რომ ეს საკითხი ერთი სემესტრის განმავლობაში გადაწყდეს. ამაზე პროფ. ნ.შათაშვილმა უპასუხა, რომ მიუღებლად მიაჩნია დებულებაში ასეთი ჩანაწერების გაკეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დებულების აღნიშნული მუხლის ინტერდისციპლინურ კათედრებთან დაკავშირებულ პუნქტებს (მუხლი 36, 1-ვ, 1-ზ, 2-ე, 2-ვ, 3-თ, 5-თ).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18, თავი შეიკავა - 7, წინააღმდეგი - 0.

გ) მუხლი 36.4, გ), კათედრის დასახელების ცვლილება: კათედრას ორგანული ქიმიის ნაცვლად ეწოდოს ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ო.მუკბანიანმა აღნიშნა, რომ სასურველია კათედრის დასახელება დაზუსტდეს შემდეგნაირად: ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა კათედრის ახალ დასახელებას: ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა.

კენჭისყრის შედეგები: მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დ) მუხლი 36.5, კ) და პ): ბიოლოგიის დეპარტამენტის ჩამონათვალს დაემატა გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულება, ხოლო ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია გაუქმდა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.უგულავამ. მას შენიშვნა ჰქონდა მიმართულების დასახელებასთან. თუმცა, როგორც ქ-მა მაგდა აღანიამ აღნიშნა, ეს დასახელებაა ნახსენები საკვალიფიკაციო ჩარჩოშიც, ამიტომ მისი რედაქტირებისგან თავი შეიკავეს. ლაბორატორიასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ნ.კოშორიძემ, ნ.კოტრიკაძემ. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ლაბორატორია ფაქტობრივად უკვე გაუქმებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბიოლოგიის დეპარტამენტის ჩამონათვალში გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულების ჩამატებას და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გაუქმებას.

კენჭისყრის შედეგები: მხარი დაუჭირეს ერთხმად.

ე) მუხლი 36.7, ა) და ბ), გეოლოგიის დეპარტამენტის ერთი კათედრა გაიყო ორად: ა) რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა და ბ) მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას გეოლოგიის დეპარტამენტის ჩამონათვალში.

კენჭისყრის შედეგები: მხარი დაუჭირეს ერთხმად.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა მთლიან დებულებას ა)-ე) ცვლილებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება წარმოდგენილი ცვლილებებით (იხ. დანართი 1) და გადაეგზავნოს იურიდიულ დეპარტამენტს საბოლოო შემოწმებისთვის.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილმა მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ა.თევზაძემ. მან აღნიშნა, რომ დარგობრივ საბჭოებთან ერთად ბევრი იმუშავა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაზე, შემდეგ იურიდიულმა დეპარტამენტმაც შეამოწმა და შენიშვნა მოგვცა, რომ უფლება არა გვაქვს დოქტორანტს დაცვის უფლება არ მივცეთ, თუ დისერტაციას ელექტრონული ფორმით არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ა.თევზაძემ ისაუბრა ასოცირებულ პროფესორებთან და პროფესორებთან ერთად ემერიტუსების მონაწილეობაზე სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში, სათანადო ხალშეკრულების საფუძველზე ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემუშავების შესაძლებლობის შესახებ უნივერსიტეტის სხვა, ერთ ან რამდენიმე ფაკულტეტთან, უნივერსიტეტის შესამაბისი დარგის/სპეციალობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, პარტნიორ-უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან, ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებთან სადოქტორო პროგრამის ხელშეკრულების გაფორმების რეგულირების შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.გამყრელიძემ. ამ უკანასკნელმა წინადადება შემოიტანა, რომ დისერტაციის ელექტრონული ფორმის წარმოდგენა აუცილებლად წარმოსადგენ დოკუმენტა ნუსხაში შევიტანოთ.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (იხ. დანართი 2) და გადაეგზავნოს იურიდიულ დეპარტამენტს საბოლოო შემოწმებისთვის.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სადისერტაციო საბჭოების დებულებების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოფილმა მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა ა.თევზაძემ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ იურიდიული დეპარტამენტის შენიშვნის მიხედვით სადისერტაციო საბჭოს უფლება არა აქვს მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება, მაგალითად, კოლეგიაზე, როგორც ეს ადრე იყო. ამიტომ, მათემატიკის დეპარტამენტს უარი ეთქვა ასეთ მოდელზე.

შემდეგ მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატა გარდამავალი დებულება (პუნქტი 17.1): „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს, რომელსაც დოქტორანტურაში

ჩაბარებული აქვს 2016 წლამდე, სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა ქონდეს სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ერთი მაინც დადებითი „იმპაქტ-ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა.“ ამისაგან განსხვავებით, ახალ დოქტორანტებს მოეთხოვებათ, რომ სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული ჰქონდეთ სულ მცირე სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით – რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორი მაინც დადებითი „იმპაქტ-ფაქტორის“ (ISI Thomson Web of Knowledge კლასიფიკატორის მიხედვით, ჟურნალის ISSN კოდის მითითებით) მქონეა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერების, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადისერტაციო საბჭოების დებულებებს (იხ. დანართები 3).

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერების, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სადისერტაციო საბჭოების დებულებები.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – დოქტორანტურის დაფინანსების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ დოქტორანტურის სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობის საკითხი ერთ-ერთ წინა საბჭოზე პროფესორმა დ.ძიმიგურმა წამოჭრა. შემდეგ ბ-მა რამაზმა ამ საკითხზე კონსულტაციები გაიარა თსუ რექტორთანაც. რექტორი დაეთანხმა ამ იდეას და მხარი დაუჭირა. წერილის ტექსტი (მოკლე ვარიანტი, იხ. დანართი 4.1) შეადგინა მან, ფაკულტეტის დეკანმა და განსახილველად დაუგზავნა საბჭოს წევრებს. განხილვის პროცესში პროფ. ნ.შათაშვილმა გამოაგზავნა წერილის გავრცობილი ვარიანტი (იხ. დანართი 4.2), რომელიც ასევე დაეგზავნათ საბჭოს წევრებს განსახილველად.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა დ.ძიმიგურმა, ნ.შათაშვილმა. ქ-მა ნანამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ამ საკითხზე ადრეც მიმდინარეობდა მუშაობა და ამჟამინდელი წერილის გავრცობილი ვარიანტის შედგენისას სწორედ წინა გამოცდილებით იხელმძღვანელა და წერილში ჩაამატა მთელი რიგი არგუმენტები.

სჯა-ბაასის შედეგად საბჭოს წევრები მივიდნენ საერთო აზრამდე, რომ წერილი მომდევნო საბჭოზე დაემტკიცებინათ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი

